

## სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“

### ბიბლიოთეკის დებულება

SOP - 009

#### მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ ბიბლიოთეკის ფუნქციებს და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.
2. ბიბლიოთეკა არის კოლეჯის ერთ-ერთი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული.
3. კოლეჯის ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონებით, კოლეჯის წესდებით, შინაგანაწესით, ამ დებულებითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

#### მუხლი 2. ბიბლიოთეკარი

1. კოლეჯის ბიბლიოთეკის მუშაობას უძღვება ბიბლიოთეკარი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.
2. ბიბლიოთეკარი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, კოლეჯის წესდებით, ბიბლიოთეკის დებულებითა და ამ წესის შესაბამისად.
3. კოლეჯის ბიბლიოთეკარი:
  - ა) წარმართავს და უძღვება ბიბლიოთეკის საქმიანობას;
  - ბ) პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის წინაშე დაკისრებული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე;
  - გ) წარადგენს ანგარიშს ბიბლიოთეკის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს კოლეჯის დირექტორთან.
  - დ) წარუდგენს კოლეჯის დირექტორს წინადადებებს ბიბლიოთეკის წინაშე არსებული ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
  - ე) ახორციელებს კოლეჯის ბიბლიოთეკაში შემოსული საბიბლიოთეკო დოკუმენტების აღრიცხვა - რეგისტრაციას შესაბამის ჟურნალებში;

- ვ) ახორციელებს მკითხველთა რეგისტრაციას, კონსულტირებას და მათ მომსახურებას;
- ზ) უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო დოკუმენტების გაცემას;
- თ) ზრუნავს გაცემული საბიბლიოთეკო დოკუმენტების დროულად დაბრუნებაზე;
- ი) უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო საცავებში სანიტარული წესრიგის უზრუნველყოფას;
- კ) უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

### **მუხლი 3. კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის სფერო**

1. კოლეჯის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი წარმოადგენს კოლეჯის საკუთრებას.
2. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა მოქალაქისა და უცხოელი სტუმრისთვის.
3. კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობა თავისუფლად შეუძლიათ ასევე კოლეჯის სტუდენტებსა და თანამშრომლებს.
4. კოლეჯის ბიბლიოთეკის ფონდით და სამკითხველო დარბაზებით სარგებლობის წესი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

### **ბიბლიოთეკის მიზნები და ძირითადი ფუნქციები**

#### **1. კოლეჯის ბიბლიოთეკის მიზნებია:**

- ა) ბიბლიოთეკის მომხმარებელთა სწრაფი უზრუნველყოფა მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით, პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- ბ) შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა, პოპულარიზაცია და ამ დოკუმენტებით მომხმარებლის მომსახურება როგორც ადგილზე გაცემით, ასევე ბიბლიოტეკაშორისი აბონენტის მეშვეობით.

#### **2. კოლეჯის ბიბლიოთეკის ფუნქციებია:**

- ა) საბიბლიოთეკო ფონდების რაციონალურად ფორმირება და ორგანიზება მათი დაცვა აღრიცხვა, საცნობარო-სამიუზო საშუალებების შექმნა და მათი გამოყენების ორგანიზება საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.
- ბ) საბიბლიოთეკო დოკუმენტაციის დაცვისათვის საჭირო პირობების შექმნა.
- გ) საბიბლიოთეკო ფონდების სრული აღრიცხვა, პერიოდულად მისი გაწმენდა შენაარსობრივად მოძველებული და გამოსაყენებლად უვარგისი (დაზიანებული) საბიბლიოთეკო დოკუმენტებისაგან მოქმედი სტანდარტის შესაბამისად;
- დ) ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდების დაცვაზე ბიბლიოთეკართა მატერიალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა, სათანადო ინსტრუქციების შესაბამისად.
- ე) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შემუშავება და ამ წესის აღსრულების უზრუნველყოფა;
- ვ) საბიბლიოთეკო საქმიანობასთან დაკავშირებით ტრენინგების, კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების მომზადება და ჩატარება.

#### **3. კოლეჯის ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებებია:**

- ა) საცნობარი-სამიეზო აპარატის შექმნა და მომხმარებელთა საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული უზრუნველყოფა;
- ბ) საბიბლიოთეკო მომსახურეობა (აბონემენტით, სამკითხველო დარბაზით).
- გ) ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური საქმიანობა.